

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

ISSN 2346-8467

აგრარული
AGRO NEWS
АГРО

№2

ქუთაისი – Kutaisi – Кутаиси
2016

ქურნალი წარმოადგენს
იმერეთის აგროეკოლოგიური ასოციაციის კავშირისა და
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარული ფაკულტეტის
პერიოდულ-სამეცნიერო გამოცემას

სარედაქციო კოლეგია:

ლორთქიფანიძე როზა – (მთავარი რედაქტორი);

ავალიშვილი ნინო (სწავლული მდივანი);

წევრები: ურუშაძე თენგიზი; პაპუნიძე ვანო; შაფაკიძე ელგუჯა; ასათიანი რევაზი; კოპალიანი როლანდი; ჯაბნიძე რევაზი; კინწურაშვილი ქეთევანი; მიქელაძე ალექსანდრე; ჭაბუკიანი რანი; ქობალია ვახტანგი; ფრუიძე მაკვალა; ჩაჩხიანი-ანასაშვილი ნუნუ; დოლბაია თამარი; ყუბანეიშვილი მაია; კვლენჯერიძე ნინო; ყიფიანი ნინო; ხელაძე მაია; კილასონია ემზარი; კველიშვილი მანანა; ჩხიროძე დარეჯანი; ჯობავა ტრისტანი; წიქორიძე მამუკა; თავბერიძე სოსო; თაბაგარი მარიეტა; კილაძე რამაზი; მეტრეველი მარიამი; დვალაძე გულნარა; ნემსაძე მარიამი.

სარედაქციო კოლეგიის საზღვარგარეთის წევრები:

იოფე გრიგორი (აშშ); კავალიაუსკას ვიდასი (ლიტვა); ჩუხნო ინნა (უკრაინა); ბელოკონევა-შიუკაშვილი მარინა (პოლონეთი); გასანოვი ზაური (აზერბაიჯანი); მამმადოვი რამაზანი (თურქეთი); სანტროსიანი გაგიკი (სომხეთი); სალინდიყოვი ულტემურატი (ყაზახეთი).

The magazine is a periodical scientific publication of
Imereti Agro-ecological Association and
Akaki Tsereteli State University Faculty of Agrarian Studies.

EDITORIAL BOARD

Lortkipanidze Roza – (Editor in Chief);

Avalishvili Nino – (Academic Secretary);

Members: Urushadze Tengiz; Papunidze Vano; Shpakidze elguja; Asatiani Revaz; Kopaliani Roland; Jabnidze Revaz; Kintsurashvili Ketevan; Mikeladze Aleksandr; Chabukiani Rani; Qobalia Vaxtang; Fruidze Makvala; Chachkhiani-Anasashvili Nunu; Dolbaia Tamar; Kubaneishvili Maka; Kelendjeridze Nino; Kipiani Nino; xeladze Maia; Kilasonia Emzar; Kevlishvili Manana; Chxirodze Daredjan; Jobava Tristan; Tsiqoridze Mamuka; Tavberidze Coco; Tabagari Marieta; Kiladze Ramaz; Metreveli Mariami; Gvaladze Gulnara; Nemsadze Mariam.

FOREIGN MEMBERS OF EDITORIAL BOARD

Ioffe Grigory (USA); Kavaliauskas Vidas (Litva); Chuxno Inna (Ukraine); Belokoneva-Shiukashvili Marina (Poland); Gasanov Zaur (Azerbaijan); Mammadov Ramazan (Turkey); Santrosian Gagik (Armenia); Sagyndykov Ultemurat (Kazakhstan).

Журнал представляет
Периодическое научное издание
Союза агроэкологической ассоциации Имерети и
Аграрного Факультета Государственного Университета Акакия Церетели

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ:

Лорткипанидзе Роза – (главный редактор);

Авалишвили Нино – (Ученый Секретарь);

Члены: Урушадзе Тенгиз; Папунидзе Вано; Шафакидзе Элгуджа; Асатиани Реваз; Копалиани Роланд; Джабнидзе Реваз; Кинцурашвили Кетеван; Микеладзе Александр; Чабукиани Рани; Кобалия Вахтанг; Пруидзе Маквала; Чачхиани-Анашавили Нуну; Долбая Тамар; Кубанеишвили Мака; Келенджеридзе Нино; Кипиани Нино; Хеладзе Маия; Киласония Эмзар; Кевлишвили Манана; Чхиродзе Дареджан; Джобава Тристан; Цикоридзе Мамука; Тавберидзе Сосо; Табагари Мариета; Киладзе Рамаз; Метревели Мариам; Гваладзе Гульнара; Немсадзе Мариам.

ЗАРУБЕЖНЫЕ ЧЛЕНЫ РЕДАКЦИОННОЙ КОЛЛЕГИИ:

Иоффе Григори (США); Кавалиаускас Видас (Литва); Чухно Инна (Украина); Белоконева-Шиукашвили Марина (Польша); Гасанов Заур (Азербайджан); Маммадов Рамазан (Турция); Сантросян Гагик (Армения); Сагиндиков Ултемурат (Казахстан)



შინაარსი

1 აგარული მეცნიერებანი
AGRICULTURAL SCIENCES
АГРАРНЫЕ НАУКИ

როლანდ კოპალიანი, ვლადიმერ უგულავა, მარიეტა თაბაგარი,
 შორენა კაპანაძე – ლავანდი – უნიკალური მცენარე
 (დამამშვიდებელი და მკურნალი) _____ 9

**Roza Lortkipanidze, Nino Avalishvili – PRECIOUS AND COLORED GEMS’
 CONSERVING TECHNOLOGIES THROUGH IMITATION
 METHODS _____ 13**

გიორგი ნიკოლეიშვილი, ელგუჯა შაფაქიძე – მებაზრუშემობაში ინვესტიციების
 დაბანდება – ღარბის ალორძინების მნიშვნელოვანი ფაქტორია
 _____ 15

რეზო ჯაბნძე – სოფლის ცხოვრება პრიორიტეტი უნდა გახდეს _____ 20

ვახტანგ ქობალია – მანღარინის სელექციისათვის საწყისი მასალის
 ანალიზის შედეგები _____ 29

ემზარ გორდაძე, ცირა ჟორჟოლიანი – საქართველოს მცენარეთა სამყაროს
 მდგომარეობა, რაციონალური გამოყენებისა და დაცვის
 პრობლემები _____ 33

როზა ლორთქიფანიძე, ნოდარ ჩხარტიშვილი, ლევან შავაძე – ვაზის ფილოქსერა
 საქართველოში და მის წინააღმდეგ ბრძოლა ფილოქსერაბამბლე
 საძირე ვაზით _____ 38

მარიეტა თაბაგარი, შორენა კაპანაძე, ვლადიმერ უგულავა – ლურჯი მოცვის
 ჯიშების ფენოლოგიური ფაზების მიმდინარეობის შესწავლა
 სამებრელოს რეგიონის პირობებში _____ 45

ლეილა ბაზერაშვილი, ლევან შავაძე – ბზის ალურა (*Cydalima perspectalis*)
 აღმოსავლეთ საქართველოში _____ 50

ტრისტან ჯობავა – სოკო ფომა ტრახეოფილათი ლიმონ ქართულის,
 მეიერისა და დიოსკორიას ახალგაზრდა მცენარეების
 ხელოვნური დასენიანების შედეგები _____ 54

**Чачхиани-Анасашвили Нуну, Чабукиани Мэри, Чабукиани Рани –
 ЭКОНОМИЧЕСКИЕ ПРЕДПОСЫЛКИ СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ
 ТЕХНОЛОГИЧЕСКОГО ПРОЦЕССА ОПРЫСКИВАНИЯ
 ПЛАНТАЦИЙ ФУНДУКА _____ 59**



ვაჟა თოდუა, ლეილა გიორგობიანი, დალი ბერიკაშვილი, სოფიო ცეციტაია – ფლავონოიდები, ფენოლები, კუმარინები, ტერპენები და მინერალური შენაერთები ველური ხილის შემადგენლობაში, მათი ქანგვითი პროცესები და გამოყენება სამკურნალოდ	63
ელენე ხუციშვილი, მზია კურდღელია – ეთერზეთოვანი ვარდის ჯიშების კალმების დაფოსფინების უნარი	72
Nino Kelenjeridze – THE IMPACT OF ORGANIC-MINERAL FERTILIZERS IN VINE LEAVES ON THE CONTENT OF MINERAL NUTRIMENT ELEMENTS	75
ალექსანდრა ჩაფიჩაძე, მაკა ყუბანეიშვილი – იმერეთის ვახის ჯიშები	77
ცირა ჟორჟოლიანი, ეზარ გორდაძე – მცირერიცხოვანი კოკულაციების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების პრობლემა საქართველოში	82
ნინო ყიფიანი – სიღერატებისა და მულჩირების გავლენა ციტრუსოვანთა ყინვაბამკლეობაზე	87
მაია ხელაძე – წყლის მიერ მქანნიკური მოქმედებით გამოწვეული ეროზიული მოვლენების ზოგიერთი საკითხი.	90
ნუნუ ჩაჩხიანი-ანასაშვილი, ნატალია სანთელაძე – იმერეთის ალუვიურ ნიადაგებზე გაშენებული ვეიკოას მავნებელ-დაავადებები და მათთან ბრძოლის ღონისძიებები	94
მზია კურდღელია – ფსტის კულტურის პერსპექტივა საქართველოში	97
დემეტრე ლიპარტია – ყავისფერი მარმარა ბაღლინჯო	101
ნარგიზა ალასანია – აჭარის ზღვისპირა რეგიონში ტემპერატურის გავლენა ლობიოსა და ბამიას აღმონაცენების მორფოლოგიურ მახასიათებლებზე	104
ნანა გოგიშვილი, ქეთევან კინწურაშვილი – სუბტროპიკული ხურმის მიკრობიოლოგიური გაფუჭების მიზეზების გამოკვლევა ტრანსპორტირებისას	108
მაყვალა ფრუიძე, ეკატერინე ბენდელიანი, შორენა ჩაკვეტაძე – ჩაის თანამედროვე ნედლეულის გამოკვლევა იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონში	113
Malkhazi Mikaberidze – POSSIBILITIES AND PROSPECTS OF BLANCHING AGRO RAW MATERIALS IN THE FIELD OF INFRARED RAYS	119
ეკატერინე ბენდელიანი, მაყვალა ფრუიძე – სვიის - <i>Humulus lupulus L.</i> , გავლენა ლუდის ხარისხობრივ მაჩვენებლებზე	122
Varlam Aplakov – THE ROLE OF WINE BASIC COMPONENTS IN LYSINE BIOSYNTHESIS DURING SECONDARY ALCOHOLIC FERMENTATION	128



თამარ ხუციძე, ელისო ჩიხლაძე – მწვანე ჩანის 50%-იანი წყლიანი ემულსიის ანტიმიკრობული კვლევა სახის კანის კათობენურ მიკროორგანიზმებზე _____ 131

მაყვალა ფრუიძე, გიორგი ჩახნაშვილი – ეთერზეთების წარმოების შესაძლებლობები საქართველოში _____ 134

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – შუქ-ჩრდილების ურთიერთობები ლანდშაფტურ არქიტექტურაში _____ 139

ეკატერინა გუბელაძე – ძ. ქუთაისში ასათიანის ქუჩის გეგმარება და გამწვანების რეკონსტრუქცია _____ 144

ეთერ ბენიძე, რამაზ კილაძე, იზა ოჩიკიძე – პერსპექტივის კანონების გამოყენება მწვანე მშენებლობაში _____ 149

მარინა კუცია – ანთროპოგენული ტოქსიკაცია და ეკოლოგიური პრობლემები _____ 154

ქეთევან ქუთელია – მცენარეები ზოლიაქოს ნიშნების მიხედვით _____ 157

2 ბიზნესის ადმინისტრირება
BUSINES ADMINISTRATION
АДМИНИСТРИРОВАНИЕ БИЗНЕСА

ზეინაბ ახალაძე, მანანა შალამბერიძე – სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანამედროვე მღვდომარეობა იმერეთის რეგიონში _____ 163

დალი სილაგაძე – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურების მხარდაჭერა რეგიონის შემდგომად _____ 169

3 ინჟინერია
ENGINEERING
ИНЖЕНЕРИЯ

მერაბ მამულაძე, სოსო თავბერიძე – დიზელის საწვავზე მომუშავე მოტოციკლებში ვიბრაციის გამოკვლევა სხვადასხვა სახის საწვავი ნარევის მიწოდების შემთხვევაში _____ 177

მამუკა წიქორიძე – ნიადაგის მელორაციის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრა _____ 183

სოსო თავბერიძე, ემზარ კილასონია, ზურაბ ციხაძე, თეიმურაზ ცხადაშვილი, ნესტან ბურჯალიანი – სატრაქტორო აბრეშაბის ძირითადი მახასიათებლების მოდელირების წინამძღვრები სტატისტიკური დინამიკის თეორიის საფუძველზე _____ 186



4 **მულტიდისციპლინარული დარგები**
MULTIDISCIPLINARY BRANCHES
МЕЖДУДИСЦИПЛИНАРНЫЕ ОТРАСЛИ

**Изоolda Хасая – СЕЛЬСКИЙ ТУРИЗМ, КАК СТРАТЕГИЯ РАЗВИТИЯ
РЕГИОНА ИМЕРЕТИ, ГРУЗИЯ _____ 195**

**სერგო ცაგარეიშვილი, აკაკი ნასყიდაშვილი, მათა დიაკონიძე – ტურისტულ-
რეკრეაციული საქმიანობა იმერეთის რეგიონში _____ 202**

**გიორგი ჯაბნიძე – აბრტურიზმის მნიშვნელობა სოფლის მოსახლეობის
სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში _____ 207**

1 აგრორული მეცნიერებანი AGRICULTURAL SCIENCES АГРАРНЫЕ НАУКИ





იმერეთის ვაზის ჯიშები

ალექსანდრა ჩაფიჩაძე

სმმკ, აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მაკა ყუბანეიშვილი

სმმკ, აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

მევენახეობასა და მეღვინეობას საქართველოში მეტად მდიდარი ისტორიული წარსული აქვს. სოფლის მეურნეობის ამ მნიშვნელოვან დარგს მისდევენ თითქმის ყველა რეგიონში, გარდა მაღალმთიანი ზონისა, მაგრამ მიღებული პროდუქციის ხარისხობრივი მაჩვენებლებით ყურადღებას იპყრობს კახეთი, ქართლი, იმერეთი და რაჭა-ლეჩხუმი. მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ამ დარგს აგრეთვე სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და აფხაზეთში.

იმერეთი - საქართველოს მევენახეობის ერთ-ერთი რეგიონია. იგი დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს და იყოფა ზედა, შუა და ქვემო იმერეთად.

მევენახეობა უმეტესად ზემო და შუა იმერეთშია განთავსებული.

ზემო იმერეთში შედის ხარაგაულის, ჭიათურისა და საჩხერის რაიონები.

შუა იმერეთში ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულისა და ბაღდათის რაიონები.

ქვემო იმერეთი მოიცავს სამტრედიის, ხონისა და ვანის რაიონებს.

მეტად მაღალი ხარისხის პროდუქცია სამარკო ღვინოების დასამზადებლად მიიღება განსაკუთრებით ზესტაფონის, თერჯოლის და ბაღდათის რაიონებში. ვანის რაიონში ვენახები უმეტესად გაშენებულია მთის კალთებზე. ვანის რაიონში მიიღება საშუალო ხარისხის სუფრის თეთრი ღვინოები.

ქვემო იმერეთს მიეკუთვნება აგრეთვე სამტრედიისა და ხონის რაიონები, სადაც მევენახეობა ნაკლებ მნიშვნელოვანია.

საერთოდ იმერეთი მდიდარია ადგილობრივი ვაზის ჯიშებით და ზოგიერთმა მათგანმა (ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, დონდლაბი, ოცხანური საფერე) სახელი გაუთქვეს იმერეთის მეღვინეობა-მევენახეობას.

ვაზის ესა თუ ის ჯიშში განსაზღვრულ პირობებს მოითხოვს ზრდა-განვითარებისათვის. ხელშემწყობ პირობებში იგი იძლევა მაღალხარისხოვან უხვ მოსავალს, მაგ. რაჭაში მაღალმთიანი ჰავის პირობებში ჯიშში ალექსანდროულის ყურძენში შაქრის დაგროვება 28-30%- მდეა.

ჯიშური თავისებურებებიდან გამომდინარეობს კრახუნასა და ხიხვის მიდრეკილება ბუნებრივი სადესერტო ღვინოების დასამზადებლად. პინოს, ციცქას, ხიხვის მიდრეკილება ბუნებრივი შამპანური ღვინო - მასალის დასამზადებლად.

ჯიშური თავისებურება მკვეთრად მჟღავნდება აგრეთვე მოსავლიანობაში. ერთსა და იმავე ეკოლოგიურ და მოვლის პირობებში ვაზის სხვადასხვა ჯიშში განსხვავებულ მოსავლიანობით ხასიათდება.

სხვადასხვა ჯიშში ერთსა და იგივე პირობებში მეტნაკლები ზრდით ხასიათდება (გან-



ჯური, გორულა, ციცქა, ცოლიკაური და სხვ.).

აგრობიოლოგიურ ნიშანთვისებათაგან მნიშვნელოვანია ჯიშის გამძლეობა დაავადებებისადმი მაგ. ზოგიერთი სახეობა ფილოქსერის მიმართ აბსოლიტურ გამძლეობას იჩენს (როტუნდიფოლია), ზოგი მათგანი პრაქტიკული გამძლეობით ხასიათდება (ბერლანდიერი, რიპარია), ხოლო ზოგიერთი ჯიში სრულიად ვერ უძლებს ამ მავნებლის მოქმედებას. (საფერავი, ცოლიკაური, კრახუნა), მცირე გამძლეობით ხასიათდება (ციცქა, იზაბელა, რქაწითელი)

იგივე ითქმის ავადმყოფობათა მიმართ გამძლეობაზე. ვაზის მრავალი სახეობა პრაქტიკულ გამძლეობას იჩენს ჭრაქისა და ნაცრის მიმართ. (ბერლანდიერი, რიპარია, ლაზრესკა), იმ დროს როდესაც ჯიშებს შორის ეს გამძლეობა მნიშვნელოვნად ცვალებადობს. ამის დამადასტურებელია ხიხვის, კრახუნას სუსტი გამძლეობა ნაცრისადმი, შედარებით გამძლეა ამ დაავადების მიმართ საფერავი, რქაწითელი, ციცქა. მეტად მგრძობიარეა ჭრაქისადმი ჩხავერი და შედარებით გამძლეა ამავე ავადმყოფობის მიმართ რქაწითელი, ცოლიკაური, ორბელური.

ვაზის ჯიშებიდან იმერეთის ზონაში ყველაზე ფართოდაა გავრცელებული ცოლიკაური, ციცქა, კრახუნა, დონდლაბი, ოცხანური საფერე.

ცოლიკაურის სინონიმები: ობჩური, ობჩური ცოლიკაური, მელქაის ცოლიკაური.

ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. წარმოშობით იმერეთის აბორიგენულ ვაზის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. ფართობის მიხედვით მას მეორე ადგილი უჭირავს რქაწითელის შემდეგ. მისი ძირითადი ნარგაობანი გავრცელებულია მთელ დასავლეთ საქართველოში - იმერეთში, რაჭა - ლეჩხუმში, სამეგრელოში, გურიაში, აჭარასა და აფხაზეთში. მცირე რაოდენობით გვხვდება აგრეთვე ქართლსა და კახეთში.

სამეურნეო დანიშნულებით მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი საღვინე ვაზის ჯიშია. მისგან მზადდება ადგილობრივი და ევროპული ტიპის მეტად მაღალხარისხოვანი სუფრის და ბუნებრივი ნახევრად ტკბილი ღვინოები, რომელთაც ახასიათებთ ღია მოჩალისფრო შეფერვა, ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური შეფარდება, დიდი ჰარმონია, სიხალისე და საერთოდ მეტად მაღალი გემური მაჩვენებლები.

ჯიში საგვიანო პერიოდისაა, დასავლეთ საქართველოში ყურძენი ოქტომბრის მეორე ნახევარში მწიფდება.

ვაზი საშუალოზე ძლიერი ზრდისა და უხვმოსავლიანია. გავრცელების ძირითად რაიონებში საშუალო საჰექტრო მოსავალი 80-90 ც-ს შეადგენს, ხოლო ცალკეულ ნაკვეთებზე 130-150 ც-ს აღწევს. გუდაუთის მევენახეობის ზონაში ცალკეულ საჰექტრო მოსავლიანობა 200 - 250 ც-ს აღწევდა. ვაზზე ნაყოფის მომცემი ყლორტები 80-85%-ია. ნაყოფის მომცემრქაზე 2 მტევანია, იშვიათად 1 ან 3. მტევნის საშ. წონა 150-160 გ. მსხმოიარობის კოეფიციენტი 1,6-1,7 შორის მერყეობს.

სოკოვან დაავადებათა მიმართ არ იჩენს დიდ მგრძობიარობას, თუმცა წამლობები ჭრაქისა და ნაცრის წინააღმდეგ დროულად უნდა ჩატარდეს. ასევე ადვილად ეგუება გარემოს ეკოლოგიურ პირობებს, რითაც აიხსნება ამ ჯიშის მასიური გავრცელება მთელ დასავლეთ საქართველოში.

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ან საშუალოზე დიდია, მომრგვალო, სამნაკვთიანი ან დაუნაკვთავი.

ყვავილი ორსქესიანია, ნორმალური აგებულების. მტევანი საშუალო სიდიდისაა, კონუ-



სური ან განიერკონუსური, ხშირად მხრიანია, განტოტვილი და უფორმო; მტევანი საშუალო სიკუმსისაა, ანთხელი. მარცვალი საშუალო სიმსხოსია, მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. სრულ სიმწიფეში ღია მომწვანო- მოყვითალოა, მზის მხრიდან მოყვითალო ლაქებით. სქელკანიანია, კანი უხეშია და ძნელად ეცლება რბილობს. საკმაოდ წვნიანი და ხორციანია სასიამოვნო ტკბილი გემოთი. მარცვალში 1- 4 წიპწაა. ჭარბობს ორწიპწიანი. მწიფე ყურძნის შაქრიანობა აღწევს 20-25%ს ს. 7,5- 9,5 გ/ლ- მდე მჟავიანობით.

ციცქა ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. წარმოშობით იმერეთის აბორიგენულ ვაზის ჯიშთა ჯგუფს მიეკუთვნება. როგორც მაღალხარისხოვანი პროდუქციის მომცემი ძირითადი საწარმოო ჯიშია. ფართოდაა გავრცელებული ზესტაფონის, ხარაგაულისა და თერჯოლის რაიონებში. მცირე ნარგავების სახით გავრცელებულია რაჭა-ლეჩხუმში, სამეგრელოში, აფხაზეთში, გურიაში, ქართლში. სამხრეთ ოსეთში და აჭარაში.

სამეურნეო დანიშნულებით მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია. მისგან დაყენებული ღვინო ხასიათდება მაღალხარისხოვანი მარკიანი ღვინისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით. გარდა ამისა მისი პროდუქცია წარმატებით გამოიყენება ხარისხოვანი შამპანური ღვინოების დასამზადებლად.

ჯიში საგვიანო პერიოდისაა. იმერეთში ყურძენი სრულ სიმწიფეს აღწევს ოქტომბრის მეორე ნახევარიდან. ვაზი საშუალო ზრდისა და უხვმოსავლიანია. იმერეთის ძირითად რაიონებში საშ. საჰექტრო მოსავალი 60-90 ც. შეადგენს. ხოლო ცალკეულ ნაკვეთზე 100-120 ც-ს. ვაზზე სანაყოფე ყლორტები 90-96%-მდეა. სანაყოფე ტოტზე ხშირად 2 მტევანია, იშვიათად ერთი. მსხმოიარობის კოეფიციენტი 1,4-1,6- მდეა. მტევნის საშ. წონა 130-150 გ. დიდი მტევნის წონა ხშირად 400 გ. აჭარბებს. ვაზის ძველი ნაწილებიდან წარმოშობილი ყლორტები მოსავლიანია.

სოკოვან დაავადებათა მიმართ სუსტ მგრძობიარობას იჩენს. ადვილად ავადდება ჭრაქითა და ნაცრით.

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ზომისაა, მომრგვალო, 3-5 ნაკვეთიანი. ყვავილი ორსქესიანია ნორმალური აგებულების.

მტევანი საშუალო ზომისაა, ცილინდრული ან ცილინდრულ - კონუსური, ზოგჯერ ფრთიანია, კუმსი ან ძლიერ კუმსი, მარცვალი საშუალო სიმსხოსია მომრგვალო ან ოდნავ ოვალური. სრულ სიმწიფეში ღია მწვანე მოყვითალოა, მზის მხარეზე ქარვისფერი, თხელკანიანია და საკმაოდ ხორციანი, მეტად სასიამოვნო ტკბილი და მომწვანო გემოთი. მარცვალში 1- 4 წიპწაა, ხშირად გვხვდება 2 წიპწა. მწიფე ყურძენში შაქარი გროვდება 20-25%-მდე 6,6 -10,5 გ/ლ- მდე მჟავიანობით.

პროდუქციის გამოყენების მიხედვით რთველი სხვადასხვა დროს ტარდება. ჯიში როგორც საღვინე და საშამპანე განკუთვნილია შუა და ზემო იმერეტის რაიონებისათვის.

კრახუნა ქართული თეთრყურძნიანი ვაზის ჯიშია. გეოგრაფიული დარაიონების მიხედვით იმერეთის ვაზის ჯგუფს მიეკუთვნება. მისი გავრცელების არეა ზესტაფონისა და ბაღდათის რაიონები. მცირე ნარგავები გვხვდება ხარაგაულის, თერჯოლისა და ტყიბულის რაიონებში.

სამეურნეო დანიშნულებით მაღალხარისხოვანი საღვინე ვაზის ჯიშია. რის გამოც იგი საქართველოს სამრეწველო ვაზის ჯიშთა სტანდარტშია შეტანილი. მისი პროდუქცია წარმატებით გამოიყენება როგორც მარკიანი სუფრის ღვინის, ასევე მაგარი და საღვინეო ღვინოების დასამზადებლად.



იმერული წესით დაყენებული კრახუნას ღვინო ხასიათდება ლამაზი შეფერილობით, ალკოჰოლის ნორმალური შემცველობით, დიდი სხეულით და ჰარმონიით, კარგი გემოთი, შენახვის დიდი უნარით და ტრანსპორტაბელობით. ყურძნის დაგვიანებით დაკრეფვისას მისგან მზადდება განსაკუთრებული მაღალი ღირსების მაგარი და სადესერტო ღვინო, ჯიშური არომატით მდიდარი და ხალისიანი მჟავიანობით.

საშუალოზე საგვიანო პერიოდისაა. ყურძენი სრულ სიმწიფეში შედის სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში.

ვაზი საშუალო ზრდისაა, საშუალო მოსავლიანი - 60 -70ც/ჰა. სანაყოფე ყლორტები ვაზზე 85 - 95 % მდგა. მსხმოიარობის კოეფიციენტი 1,3 - 1,4 - მდგა. მტევნის საშ წონა 140 - 160გ. დიდი მტევნის წონა 300გ. აღემატება.

სოკოვან დაავადებათა მიმართ მგრძობიარეა. განსაკუთრებით ავადდება ჭრაქით მეტად მგრძობიარეა ფილოქსერასადმი, რის გამოც საკუთარ ძირზე მისი წარმოება დაუშვებელია. ზრდასრული ფოთოლი საშუალო სიდიდისაა, მომრგვალო, ხუთნაკვთიანი. ყვავილი ორსქესიანია ნორმალური აგებულების.

მტევანი საშუალო სიდიდისაა და განიერკონუსური, ხშირად ფრთიანი, რომელიც მტევნის სიგრძის ნახევარს აღწევს. მტევანი საშუალო სიკუმსისაა ან კუმსი. მარცვალი საშუალო სიდიდისაა ან საშუალოზე დიდი, ოვალური ფორმის. სრულ სიმწიფეში მომწვანო-მოყვითალოა. მზის მხრიდან მოყავისფრო იერით. საკმაოდ სქელკანიანია, კანი ადვილად არ ეცლება მარცვალს, მაგრამ ღეჭვისას ადვილად ქუცმაცდება. მტევანში 1-4 ცალამდე წიპწაა, უფრო ხშირად გვხვდება 2 ცალი. ჯიშს ახასიათებს შაქრის დაგროვების დიდი უნარი ნორმალური მჟავიანობის შენარჩუნებით. მწიფე ყურძენში შაქარი 21-23%-მდგა 7,5-8,5 გ/ლ მჟავიანობის შენარჩუნებით.

ოცხანური საფერე – ქართული წითელყურძნიანი ვაზის ჯიშია. ძირითადად ზესტა-ფონის, ჭიათურის, თერჯოლის, ბაღდათის, ხარაგაურისა და წყალტუბოს რაიონებშია გავრცელებული. სამეურნეო დანიშნულებით საღვინე ჯიშია, გამოიყენება ინტენსიურად შეფერილი, ხარისხოვანი წითელი ღვინის დასამზადებლად. ცალკე დაყენებული ღვინო გამოირჩევა ინტენსიური შეფერვით, ალკოჰოლისა და მჟავიანობის ნორმალური შეფარდებით, ხავერდოვნებით, მდიდარი სხეულით, ჰარმონიულობით და კარგად გამოსახული ჯიშური არომატით.

ყურძენი ოქტომბრის მესამე დეკადაში მწიფდება. ვაზზე სანაყოფე ყლორტები 75-85 % - მდგა. მსხმოიარობის კოეფიციენტი 1 - 1,6 - მდგა. მტევნის საშ წონა 60 – 80 გ. დიდი მტევნის წონა 100გ. აღემატება.

სოკოვან დაავადებათა მიმართ საკმაოდ გამძლეა, ადვილად ზიანდება ფილოქსერით.

ზრდასრული ფოთოლი საშუალო ზომის, მომრგვალო ან მცირედ ოვალური ფორმისაა, 3-5 ნაკვთიანია.

ყვავილი ორსქესიანია. მტევანი საშუალო ან საშუალოზე მცირე, ცილინდრული ან ცილინდრულ - კონუსური, კუმსია ან საშუალო სიკუმსის. ხშირად წვრილმარცვლიანია. სრულ სიმწიფეში მუქი იისფერია გარდამავალი შავ ფერში. სქელკანიანია და მკვრივი. კანი ადვილად ეცლება რბილობს, საკმაოდ ხორციანია და წვნიანი, სასიამოვნო, ტკბილი და ხალისიანი მომჟავო გემოთი, შაქარი 20 - 23%, ხოლო მჟავიანობა 9 -10 გ/ლ - მდგ. როგორც ხარისხოვანი ჯიში პერსპექტიულია შუა და ზემო იმერეთის რაიონებისათვის.



გამოყენებული ლიტერატურა

1. კეცხოველი ნ. რამიშვილი მ. ტაბიძე დ.- საქართველოს ამპელოგრაფია თბილისი, 1960 წ.
2. ქანთარია ვ. რამიშვილი მ.- მევენახეობა თბილისი. განათლება 1983 წ.

THE SORTS OF GRAPE-VINE IN IMERETI

Aleqsandra Chapichadze

Candidate with\ x. sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Maka Kubaneishvili

Academic Doctor of Agriculture, Associate Professor, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Summary

Imereti - one of regions of grape-vine of Georgia. It is located in Western Georgia and is divided into overhead, middle and lower Imereti. In a greater degree a vine is located in overhead and middle Imeretii. In general, Imereti is rich with local sorts of vine and some of them (Tsitska, Tsolikauri, Krakhuna, Dondglabi, Otskhanuri, Safere) are glorified, making-viticulture of Imeretii.

One or another sort of vine requires certain terms for growth and development. In favorable terms it gives a high-quality and abundant harvest. For example, in the conditions of high mountain climate in Racha the sort of vine the Aleksandrouli level of sugar arrives at 28-30%. From the features of Krakhuna and Khikhvi are used for preparation of dessert vines. Pino, tsitska and Khikhvi are used for preparation of champagne.

The features of the sort is also marked with its productivity. In the same ecological terms and methods of caring, different sorts are characterized with the different productivity.

The most widespread sorts of vine are Tsolikauri in Imereti, Tsitska, Krakhuna, Dondglabi and Otskhanuri safere.

ВИНОГРАДНЫЕ СОРТА ИМЕРЕТИ

Чапичадзе Александра

Кандидат с\х. наук, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Кубанешвили Мака

Акад. доктор с\х наук, Ассоциированный Профессор, Государственный университет Акакия Церетели, Кутаиси, Грузия

Резюме

Имерети - один из регионов виноградарства Грузии. Он расположен в западной части Грузии и делится на верхний, средний и нижний Имерети.

Виноградарство в основном представлено в верхней и средней Имеретии.

Вообще Имерети богата местными сортами лозы и некоторые из них (Цицка, Цоликаური, Крахуна, Дондглаби, Оцханური сапере) прославили виноделие-виноградарство Имеретии.

Тот или иной сорт лозы требует определённых условий для роста и развития.

При благоприятных условиях даёт высококачественный, богатый урожай. Например в условиях высокогорного климата Рачи у сорта винограда Александроули накапливается до 28-30%-сахара.

Из сортовой характеристики Крахуна и Хихви вытекает склонность к производству естественного десертного вина. К производству шампанских вин склонны – Пино, Цицка, Хихви .

Особенность сорта также проявляется и в урожайности. В одних и тех же экологических условиях и методах ухода различные сорта характеризуются различной урожайностью.

В зоне Имерети из сортов лозы наиболее широко распространены Цицка, Цоликаური, Крахуна, Дондглаби, Оцханური сапере.